ბანთიადი

VI კლასი

2022 წელი

სახელი, გვარი , ტელეფონი _____

სკოლა _____

ქართულის მასწავლებელი _____

დავალება რომელიც ფასდება 2 ქულით

1. რომელი რიცხვითი სახელია სწორად დაწერილი?
   ა) მე - 19 ბ) მე - 29 გ) 1 - ი დ) მე - 54 - ე

დავალება რომელიც ფასდება 3 ქულით

2. რომელია მართებული ფორმა?
   ა) დედა-შვილობა ბ) დედაშვილობა გ) დედაშვილი დ) არცერთი

დავალებები რომლებიც ფასდება 5 ქულით

3. შეარჩიე მოცემული სიტყვის „ ყბედი“ ანტონიმი
   ა) მუნჯი ბ) უჭკუო გ) მოლაპარაკე დ) ცელქი

4. შეარჩიე მოცემული სიტყვის „ განიერი“ სინონიმი
   ა) ფართო ბ) დიდი გ) ვიწრო დ) გრძელი

დავალებები რომლებიც ფასდება 7 ქულით

5. რომელია გამოტოვებული სიტყვა? გიორგის ხელფასი .....
   ა) დაუცოტავდა ბ) შეუთხელდა გ) შეუმცირდა დ) შეეკუმშა

6. რომელი სიტყვა შეესაბამება „ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“ ხატოვან გამოთქმას?
   ა) ხელი მოითბო ბ) ხელი მოეცარა
   გ) ხელი შეუშალა დ) ხელი აიღო

7. რომელია ზმნის სწორი ფორმა:
   ა) იცვავდნენ ბ) იცვამდნენ გ) იცმევდნენ დ) იცმევდენ

წაიკითხთ რ. ინანიშვილის მოთხრობა „გოგონა - ღამე რომ შეუყვარდა“ და უპასუხეთ კითხვებს.

ისიც თითქმის ჩვეულებრივი პატარა გოგონა იყო, გამხდარი და აქეთ-იქით გაპრეხილნაწნავებიანი. მხოლოდ ზეაწეულწამწამებიანი ცისფერი თვალები ცოტა უფრო ფართოდ ჰქონდა გახელილი, ვიდრე სხვა გოგონებს აქვთ, და ყველაფერს ცოტა უფრო სხვანაირად ხედავდა, ვიდრე ჩვენ.

აი, მაგალითად, როდესაც ჩვენ ბაღში მივდივართ და ხეს შევხედავთ, დავინახავთ, რომ ხე ან უძრავად დგას, ან არადა მის მწვანე ფოთლებს ნიავი აშრიალებს; ან ჰყვავის, ან ის-ისაა, კოკრები გამოაქვს. ის გოგონა კი ხედავდა, რომ ხის ფოთლებს ნიავი კი არ აშრიალებს, ყუნწებში უღიტინებს და ფოთლები ხტიან, ხითხითებენ, ლამის გული წაუვიდეთ ხითხითისაგან; ის ხედავდა, რომ ხე უბრალოდ კი არ ჰყვავის, ყოველი კვირტი თოთო ბავშვივით იღვიძებს, თვალებს იფშვნეტს, იზმორება და - ტკაც! - ღიმილით უბრწყინდება სახე.

გოგონას კიდევ ისიც შეეძლო, რომ თვალები დაეხუჭა და უფრო მეტი რამ დაენახა, ვიდრე თვალხილული ხედავდა. თვალხილული თავის ოთახს, თავისი ქუჩის სახლებს, არეულ-დარეულ მანქანებს, ადამიანებს და მაღაზიებს ხედავდა, მაგრამ, როდესაც თვალებს დახუჭავდა - უუ! - მაშინ ათას უცნაურ რამეს დაინახავდა. დაინახავდა უკი-დეგანო ლურჯ ოკეანეს, რომელსაც ქათქათაიალქნებიანი გემი მიაპობდა სიმღერით (იალქნები მღეროდნენ); დაინახავდა მზის სხივებით სავსე უღრან ტყეს, რომელშიც ათასნაირი ფერის ჩიტები დაფრინავდნენ და ყველა თავის ხმაზე ეძახდა ერთმანეთს; დაინახავდა მაღალ, შუბის წვერებივით ალესილ მთებს, რომელთა მწვერვალებიდან მწვერვალებზე ყელმოღერებული ჯიხვები გადაქროდნენ შხივილით...

ერთ ზაფხულს ეს გოგონა დედამ და მამამ აგარაკზე წაიყვანეს. აგარაკი შორს იყო. ჩასხდნენ მატარებელში, იარეს, იარეს; მატარებლიდან ჩამოვიდნენ, ავტობუსში გადასხდნენ; ისევ იარეს, იარეს, და ბოლოს, როგორც იყო, მივიდნენ.

სანამ გოგონას ამ აგარაკზე წამოიყვანდნენ, მანამ ის სულ თავის დიდ ქალაქში ცხოვრობდა. დიდ ქალაქებში ხომ ასეა: როგორც კი ღამე დააპირებს მოსვლას, აანთებენ მილიონ ელნათურას და არ შემოუშვებენ. ამ ქალაქშიც ასე იყო: დააპირებდა ღამე მოსვლას, აანთებდნენ მილიონ ელნათურას და დაახევინებდნენ უკან. ნამდვილი ღამე ქალაქელებს არც კი უნახავთ. გოგონასაც არ ენახა და, სანამ ქალაქში ცხოვრობდა, ღამის არც სიყვარულზე უფიქრია, არც სიძულვილზე. უყვარდა სიბნელე, ესე იგი, როდესაც სინათლეს გამორთავდა, - მაშინ მას თვალების დახუჭვაც არ უნდოდა, იწვა და ისე ხედავდა ათასნაირ სურათს, უყვარდა ასეთი სიბნელე, მაგრამ ღამისა არც სიყვარულზე უფიქრია, არც სიძულვილზე.

და, აი, გოგონა უკვე აგარაკზეა. ჩამოდიან ავტობუსიდან და რას ხედავს, აგარაკი ტყეშია, პატარა ლამაზი ხის სახლი, რომელიც გოგონას მამას დაუქირავებია, ვეება შავი ნაძვების ქვეშ დგას. რა თქმა უნდა, ნაძვები სინამდვილეში მწვანეებია, მაგრამ ღამით ხომ ყველაფერი შავად ჩანს - ხეებიც, წყალიც და ცაც! - აქ კი უკვე ღამეა, ნამდვილი ღამე, დაბრუნებულა ნახირი, დაჩუმებულან ფრინველები, მიმწყდარა ადამიანების ფეხის ხმაც. ცაზე მილიონი დიდი ჩახჩახა ვარსკვლავი ანთია და ისინიღა კრუტუნებენ:- კრუ, კრუ, კრუ!..

დავალებები რომლებიც ფასდება 8 ქულით

8. რა ნახა პირველად გოგონამ?

ა) ნაძვები ბ) ფრინველები გ) ღამე დ) ჩახჩახა ვარსკვლავი

9. რა არღვევს ღამის სიჩუმეს?

ა) ადამიანის ფეხის ხმა ბ) ძაღლების ყეფა

გ) ნახირის ხმა დ) ვარსკვლავების კრუტუნი

10. რაზე დაფიქრდა გოგონა პირველად აგარაკზე ყოფნისას?

ა) თავის ქალაქზე ბ) ღამის სიყვარულსა და სიძულვილზე

გ) მონატრებაზე დ) შიშზე

დავალებები რომლებიც ფასდება 10 ქულით

11. რას ხედავდა გოგონა, როდესაც თვალებს ხუჭავდა?

ა) მზის სხივებით და ათასნაირი ფერის ჩიტებით სავსე ტყეს.

ბ) უკიდეგანო ლურჯ ოკეანეს, რომელსაც გემი მიაპობდა სიმღერით.

გ) მაღალ შუბის წვერივით ალესილ მთებს, რომელზეც ყელმოღერებული ჯიხვები დაჰქროდნენ.

დ) გემს, რომელსაც ქათქათა იალქნები ჰქონდა.

ა) I და II ბ) II და IV გ) I და III დ) I , II, III, და IV

12. რამდენი ზედსართავის სახელია მეორე აბზაცში?

ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი დ) ერთი

13. რომელი ხმოვანფუძიანი არსებითი სახელი გვხვდება ტექსტის პირველ აბზაცში?

ა) თვალები ბ) გოგონა გ) ცისფერი დ) პატარა

14. რომელ წინადადებაშია მძიმე სწორად დასმული?

ა) ეს ამბავი სწორედ, რომ მართასგან გავიგე.

ბ) ჩემს ნათესავს რომ ტყუილი ეთქვა, ძალიან მეწყინებოდა.

გ) დედას არ უნდოდა რომ, ეზოში გავსულიყავი.

დ) ეს, მართლაც რომ საინტერესო გაკვეთილი იყო.